სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

09 სექტემბერი 2026

N 21/13258

შპს „მედიკალ ტექნოლოგს"
გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი
ელ.-ფოსტა: www.ecometer.org.ge
ტელ: 577 380 113

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ - სააგენტო) განიხილა ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2026 წლის 17 ივლისის N10954 განცხადება და დაგეგმილი საქმიანობის (გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში, ნარჩენების განთავსებისა (ინსინერაციის) და ნარჩენების აღდგენის (ნარჩენების გაუვნებლება-დეტოქსიკაცია, ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენების დემერკურიზაცია) საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და გაცნობებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

ა) გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, გათვალისწინებულია ნარჩენების გაუვნებელყოფა-დეტოქსიკაცია, ავტოკლავირება, ციანიდების გაუვნებელყოფა, მჟავებისა და ტუტეების ნეიტრალიზაცია, ადვილად ხსნადი ტოქსიკური გაზების გაუვნებელყოფა, ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენების დემერკურიზაცია, გამოყენებული ტექნიკური ზეთების რეგენერაცია, ნარჩენი ფოტომასალის დამუშავება და ნარჩენების დროებითი დასაწყობება. აღნიშნულ საქმიანობებთან დაკავშირებით დაზუსტებას საჭიროებს თითოეული ტექნოლოგიური პროცესისთვის მისაღები ნარჩენების კონკრეტული სახეობები და შესაბამისი ნარჩენის კოდები, ნარჩენების მიმართ განსახორციელებელი შესაბამისი აღდგენის/განთავსების ოპერაციები (R/D), აგრეთვე დამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის/მასალისა და წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები, კოდები, რაოდენობები და მათი შემდგომი მართვის საკითხები. მათ შორის ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის შესახებ ინფორმაცია;

ბ) დაზუსტებას საჭიროებს საწარმოსა და ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული თითოეული ტექნოლოგიური უბნის/დანადგარის საპროექტო წარმადობა, მათ შორის ნარჩენების მიღების, დამუშავების წლიური და საათობრივი წარმადობები, გარდა ინსინერაციისა და ავტოკლავირებისა, აგრეთვე დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული წარმადობების ურთიერთშესაბამისობა;

გ) გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ. შესაბამისად მოცემული უნდა იქნას ნარჩენების შესახებ დეტალური ინფორმაცია (კოდი, დასახელება, რაოდენობა და შემდგომი მართვის საკითხი);

დ) დაზუსტებას საჭიროებს ავტოკლავირებას დაქვემდებარებული სამედიცინო ნარჩენების კონკრეტული სახეობები და შესაბამისი ნარჩენების კოდები, მათი რაოდენობები და ფიზიკური მდგომარეობა, აგრეთვე ავტოკლავირების შედეგად მიღებული ნარჩენის კოდი, რაოდენობა და შემდგომი მართვის საკითხი. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია სამედიცინო ნარჩენის, როგორც მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე განთავსება, ისე ინსინერატორში განადგურება. მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე განთავსების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ნაგავსაყრელის ოპერატორთან გაფორმებული ხელშეკრულება;

ე) დაზუსტებას საჭიროებს ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენების დემერკურიზაციის პროცესის შედეგად წარმოქმნილი მყარი ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხი, მათ შორის ნარჩენის კოდი, შემადგენლობა და ვერცხლისწყლის შემცველობა. ასევე, წარმოდგენილ იქნეს დასაბუთება აღნიშნული ნარჩენების ინსინერატორში თერმული დამუშავების შესაძლებლობისა და შესაბამისობის შესახებ, ნარჩენის მახასიათებლებისა და ინსინერატორის ტექნოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

ვ) დაზუსტებას საჭიროებს 04 01 02 (კირით დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენები) და 04 01 06 (ლექი, ჩამდინარე წყლების გადამუშავების შემდეგ, რომელიც შეიცავს ქრომს) კოდებით განსაზღვრული ნარჩენების დამუშავებისა და შემდგომი მართვის სრული ტექნოლოგიური სქემა. კერძოდ, მითითებულ უნდა იქნას აღნიშნული ნარჩენების მიმართ განსახორციელებელი R/D ოპერაციები, დამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი/მასალა და წარმოქმნილი ნარჩენები, მათი შესაბამისი კოდები, რაოდენობა და შემდგომი მართვის საკითხი. ამასთან, 04 01 02 კოდით განსაზღვრულ ნარჩენთან დაკავშირებით დაზუსტდეს გზშ-ის ანგარიშში მითითებული „საკანალიზაციო წყლის გამტანებისთვის გატანის“ საკითხი, ხოლო 04 01 06 კოდით განსაზღვრული ნარჩენის შემთხვევაში, გამოყოფილი მეტალების შემდგომი მართვის კონკრეტული პროცესი;

ზ) დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულ არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და სორტირების ობიექტზე მისაღები ნარჩენების კონკრეტული სახეობები და შესაბამისი ნარჩენის კოდები, თითოეული ნარჩენის მიმართ განსახორციელებელი R/D ოპერაციები, დამუშავების შედეგად მიღებული მასალებისა და წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები, კოდები და რაოდენობები, აგრეთვე მათი შემდგომი მართვა;

თ) დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია PCB-შემცველი ნარჩენების მიღების, ინსინერაციის (16 01 09* - PCBs -ს შემცველი კომპონენტები) და დასაწყობების შესახებ, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილების („სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“) მოთხოვნებთან. ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი PCB-შემცველი ნარჩენების, მათ შორის 13 01 01* და 13 03 01* კოდებით განსაზღვრული ნარჩენების, საწარმოში მიღების, დროებითი შენახვისა და შემდგომი მართვის პირობები. აღნიშნული საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნებს. ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 13 01 01* და 13 03 01* კოდებით განსაზღვრული PCB-შემცველი ნარჩენების საწარმოში მიღება გათვალისწინებულია მხოლოდ დროებითი დასაწყობების მიზნით, შემდგომი ექსპორტისათვის. შესაბამისად, დაზუსტდეს მათი დასაწყობების მაქსიმალური ვადა და დასაწყობების პირობები. ამასთან, გათვალისწინებულ იქნეს, რომ PCB-შემცველი ნარჩენების დროებითი შენახვის ვადა 12 თვეს არ უნდა აღემატებოდეს;

ი) დაზუსტებას საჭიროებს 16 02 09* (ტრანსფორმატორები და კონდენსატორები, რომლებიც შეიცავენ პოლიქლორირებულ ბიფენილებს (პქბ) (PCBs)), 16 02 10* (მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომლებიც შეიცავენ ან დაბინძურებული არიან პოლიქლორირებული ბიფენილებით (პქბ) (PCBs),

რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09 პუნქტში და 16 02 11* (მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომლებიც შეიცავს ქლორფთორნახშირბადებს (HCFC, HFC)) - კოდებით განსაზღვრული ნარჩენების მიმართ გათვალისწინებული „მექანიკური და ქიმიური დამუშავების“ ოპერაცია. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის აღწერილი აღნიშნული დამუშავების კონკრეტული ტექნოლოგიური პროცესი, მისი ეტაპები, გამოყენებული დანადგარები და ტექნიკური საშუალებები, დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების/ნარჩენი ფრაქციების სახეობები, კოდები, R/D ოპერაცია და მათი შემდგომი მართვის გზები. შესაბამისად, დეტალურად იქნეს აღწერილი აღნიშნული ნარჩენების დამუშავების ტექნოლოგია, მისი მიზანი და ეტაპები და დასაბუთდეს აღნიშნული საქმიანობის შესაბამისობა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით დამტკიცებული „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან;

კ) გზშ-ის ანგარიშში, დანართი №3-ში წარმოდგენილი ნარჩენების ჩამონათვალი და მათი მართვის ფორმები საჭიროებს გადახედვასა და დაზუსტებას, ვინაიდან მოცემული რიგი არასახიფათო რეციკლირებადი და სხვა არასახიფათო ნარჩენების, მათ შორის, ქაღალდისა და მუყაოს, პლასტმასის, მინის, ხის, ლითონისა და ტექსტილის და სხვა ნარჩენების მართვის ფორმად განსაზღვრულია ინსინერაცია. შესაბამისად, მოცემული ნარჩენები (ნარჩენების კოდებით: 02 01 07 (ნარჩენები ხე-ტყის მასალის გადამუშავებიდან), 03 01 01 (ნარჩენი ქერქი და კორპი), 03 01 05 (ნახერხი, ბურბუშელა, ნათალი, ხე-ტყის მასალა, ფანერები და შპონები, რომლებიც არ არის ნახსენები 03 01 04 პუნქტში), 15 01 02 (პლასტმასის შესაფუთი მასალა), 15 01 03 (ხის შესაფუთი მასალა), 15 01 04 (ლითონის შესაფუთი მასალა), 15 01 07 (მინის შესაფუთი მასალა), 16 01 19 (პლასტმასი), 16 01 20 (მინა), 17 02 01 (ხე), 17 02 02 (მინა), 17 02 03 (პლასტმასი), 19 12 01 (ქაღალდი და მუყაო), 19 12 04 (პლასტმასი და რეზინი), 19 12 05 (მინა), 19 12 07 (ხე), 19 12 08 (ქსოვილები), 20 01 01 (ქაღალდი და მუყაო), 20 01 02 (მინა), 20 01 10 (ტანისამოსი), 20 01 11 საფეიქრო ნაწარმი) 20 01 25 (საკვები ზეთები და ცხიმები) ნარჩენების მართვის იერარქიის გათვალისწინებით, აგრეთვე ნარჩენების მართვის 2016–2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ინსინერაციით მართვის ნაცვლად გათვალისწინებული უნდა იყოს მათი აღდგენა/რეციკლირება და შესაბამისად, ამოღებული უნდა იქნეს ინსინერაციაზე მისაღები ნარჩენების ჩამონათვალიდან;

ლ) ასევე, დაზუსტებას/განმარტებას საჭიროებს ნარჩენის 02 04 01 (ჭარხლის გასუფთავებისა და რეცხვის შედეგად მიღებული მიწა) საკითხი;

მ) დაზუსტებას საჭიროებს 20 01 08 (სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენი), 20 02 01 (ბიოდეგრადირებადი ნარჩენები) და 20 03 01 (შერეული მუნიციპალური ნარჩენები) კოდებით განსაზღვრული ნარჩენების ინსინერაციის ან ავტოკლავირების მიზნით დამუშავების საჭიროება და მიზანშეწონილობა. ამასთან გაცნობებთ, რომ შერეული მუნიციპალური ნარჩენის (ნარჩენის კოდი 20 03 01) ნარჩენის მართვა, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-6 მუხლის მე-8 ნაწილისა და მე-16 მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება.

ნ) დაზუსტებას საჭიროებს დანართი №3-ით გათვალისწინებული ნარჩენი ზეთების მართვის საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოში მისაღები ნარჩენები წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №327 დადგენილებით დამტკიცებული „ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ ნარჩენ ზეთებს, მათი მართვა უნდა განხორციელდეს აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტითა და შესაბამისი მწარმოებლის გაფართებული ვალდებულების (მგვ) მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. შესაბამისად, აღნიშნული ნარჩენების საწარმოში ინსინერაციის მიზნით მიღება ვერ განხორციელდება მხოლოდ ინსინერაციის შესაძლებლობის

მითითებით და საჭიროებს მათი მგვ-ის ფარგლებში დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალისწინებას, მათ შორის, ნარჩენი ზეთების აღდგენისა და რეგენერაციის მიმართულებით. დაზუსტებული უნდა იყოს დანართი №3-ით გათვალისწინებული რომელი ნარჩენები ექცევა აღნიშნული რეგულირების ფარგლებში და შესაბამისი ნარჩენები ამოღებული იქნეს ინსინერაციაზე მისაღები ნარჩენების ჩამონათვალიდან;

ო) ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გაუვნებელყოფა-დეტოქსიკაციის უბანზე ხორციელდება ნარჩენი მჟავებისა და ტუტეების ნეიტრალიზაცია, თუმცა ნარჩენების კონკრეტული სახეობები და კოდები არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, უნდა მიეთითოს ნეიტრალიზაციის პროცესში ჩართული ნარჩენების კონკრეტული კოდები და მათ მიმართ განსახორციელებელი შესაბამისი R/D ოპერაციები, აგრეთვე, გამოყენებული რეაგენტები და ნეიტრალიზაციის შედეგად მიღებული პროდუქტი/ნარჩენი;

პ) დაზუსტებას საჭიროებს ნეიტრალიზაციის პროცესის შედეგად წარმოქმნილი წყალხსნარის ნარჩენის სტატუსი და კლასიფიკაცია. კერძოდ, წარმოადგენს თუ არა ნარჩენი მჟავებისა და ტუტეების, აგრეთვე სხვა ქიმიური ნარჩენების ნეიტრალიზაციის შედეგად მიღებული წყალხსნარი ნარჩენს და ნარჩენად მიჩნევის შემთხვევაში მიეთითოს მისი შესაბამისი ნარჩენის კოდი და შემდგომი მართვის ფორმა. იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების გაუვნებლება-დეტოქსიკაციის უბანზე მიღებული წყალხსნარი ნარჩენად არ განიხილება და საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვებისთვის განკუთვნილ ჩამდინარე წყალს წარმოადგენს, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მიღებული ხსნარის შემადგენლობისა და საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვებისთვის მისი შესაბამისობის შესახებ. ასევე დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული ნარჩენების გაუვნებლება-დეტოქსიკაციის უბანზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის (გარდა იატაკის მორეცხვის შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყალი და მარილი წყალხსნარი), ასევე სანიაღვრე წყლის (რომელიც დროებით გროვდება მიწისქვეშა რეზერვუარში) ჩაშვება ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შემდეგ მოხდება თუ არა საკანალიზაციო სისტემაში. აღნიშნულის შემთხვევაში წარმოდგენას საჭიროებს აგრეთვე შესაბამის საკანალიზაციო სისტემის ოპერატორთან გაფორმებული ხელშეკრულება/შეთანხმება;

ჟ) ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი შედგენილი და სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იყოს „ტექნიკური რეგლამენტის - ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 17 ივლისის №334 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს გენერალური გეგმა, წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებისა და ჩამდინარე წყლების წყაროების დატანით;

რ) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (შემდგომში – ზდგ) ნორმების პროექტში ინსინერაციის დანადგარისთვის მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის მაჩვენებლები წარმოდგენილია დანადგარის საპასპორტო მონაცემების შესაბამისად (თავი 5). გამომდინარე აქედან, გაფრქვევის მაჩვენებლების ავთენტურობის დადგენის მიზნით საჭიროა წარმოდგენილი იყოს არსებული დანადგარის საპასპორტო მონაცემები;

ს) ზდგ-ის ნორმების პროექტის მიხედვით, ინსინერაციის დანადგარები აღჭურვილია მავნე ნივთიერებათა გამწმენდის ასპირაციული სისტემით. შესაბამისად, მითითებული მავნე ნივთიერებათა ეფექტურობის (აირმტვერდამჭერი, მავნე ნივთიერებათა გამწმენდის) დაზუსტების მიზნით საჭიროა წარმოდგენილი იყოს არსებული გამწმენდის საპასპორტო მონაცემები;

ტ) ზდგ-ის ნორმების პროექტის მიხედვით დგინდება, რომ საწარმოში დამონტაჟებულია 2 ერთეული ნარჩენების ინსინერაციის დანადგარი, რომელთა მიერ გამოყოფილი მავნე ნივთიერებები ერთიანდება 1 გამავალ მილში, რომლის მეშვეობითაც გაიფრქვევა ატმოსფეროში ამ დანადგარებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებები. წარმოდგენილი მილის პარამეტრებია 0.4მ დიამეტრი და ნაკადის სიჩქარე - 28.67მ/წმ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

უ) ზდგ-ის ნორმების პროექტში, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის მაჩვენებლების ცხრილის თანახმად (ფორმა №3 გვ. 47), გაფრქვევის გ-1 წყაროს აირმტვერდამჭერი მოახდენს მხოლოდ ჭვარტლის, აზოტის დიოქსიდის, ნახშირბადის ოქსიდის, გოგირდის დიოქსიდის, ქლორწყალბადის და გოგირდმჟავის დაჭერას. განმარტებას საჭიროებს, რატომ არ ხდება აღნიშნული სველი გამწმენდის გამოყენებით მძიმე მეტალების შემცველი მყარი კომპონენტების მოცილებაც და რატომ განსხვავდება დაჭერის ეფექტურობა ცალკეული მავნე ნივთიერებისთვის. ასევე, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს აირმტვედამჭერის ეფექტურობის დამადასტურებელი საპასპორტო დოკუმენტაცია ან/და მაქსიმალური დატვირთვის პირობებისთვის, აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მუშაობის ეფექტურობის ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრის შედეგები;

ფ) პროგრამაში „ეკოლოგი“ არ იძებნება მავნე ნივთიერება, სახელწოდებით „პოლიმერული მტვერი“ (კოდით 988), რაც საჭიროებს დაზუსტებას;

ქ) ზდგ-ის ნორმების პროექტში და გზშ-ის ანგარიშში, გაფრქვევის წყაროდან გ-3 (ნარჩენების გაუვნებლობა-დეტოქსიკაციის უბანი) ემისიად განხილულია მხოლოდ ქლორი. ამასთან, გზშ ანგარიშის თანახმად, აღნიშნულ უბანზე ციან-მარილების განეიტრალების გარდა, ადგილი ექნება სხვადასხვა კომპონენტების (მათ შორის, ნარჩენი ფოტომასალის) დამუშავებას, დამატებით სხვა რეაგენტების გამოყენებასა და შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის გარდაქმნებსაც. აღნიშნული საკითხი, შესაბამის ემისიებთან ერთად, საჭიროებს დეტალიზებულ დახასიათებას და განმარტებას;

ღ) წარმოდგენილ უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის დეტალური გეგმა, სადაც დამატებით გათვალისწინებული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული ყოველკვარტალური თვითმონიტორინგის ვალდებულება და ასევე, დაზუსტდება, თუ კონკრეტულად რომელ ნივთიერებებზე განხორციელდება ინსტრუმენტული მონიტორინგი უახლოეს მოსახლესთან და რა სიხშირით;

ყ) გზშ-ის ანგარიშის მიხედვით გათვალისწინებულია სამედიცინო ნარჩენების სტერილიზაციის ტექნოლოგიის დანერგვა. ამ მიზნით საწარმოში მოეწყობა სპეციალური სტერილიზაციის უბანი, სადაც დამონტაჟდება თურქული წარმოების VERTISA – PROMED P1000 მოდელის ვერტიკალური ავტოკლავი, რომელიც წარმოდგენილი გენგეგმის მიხედვით (დანართი N1) განთავსდება ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებულ ახალ ტერიტორიაზე (ს/კ:81.10.17.987). ამასთან, აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდება არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტი, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, ნარჩენების დასაწყობების უბანი. ანგარიშში აგრეთვე აღნიშნულია, რომ დაგეგმილი ცვლილებების ერთ-ერთ ძირითად ალტერნატივად განიხილება დამატებითი საწარმოო ხაზების და ნარჩენების დასაწყობების უბნის განთავსება იმავე ტერიტორიაზე, სადაც უკვე ფუნქციონირებს არსებული საწარმო. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და საქართველოს მთავრობის 24/09/2025 წ. N417 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის” მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმიანობის განხორციელების ადგილის გაფართოების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა

იყოს ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობის ცვლილების განხორციელების ტერიტორიის გონივრული ალტერნატივების შესახებ (SHP-ფაილებთან ერთად);

შ) გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, არასახიფათო ნარჩენების დამუშავების მიმართულებით შერჩეულია მექანიკური დამუშავების ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც მოიცავს ნარჩენების სორტირებას, შრედირებას, სეპარაციას და საჭიროების შემთხვევაში, გრანულაციას. მექანიკური დამუშავების ტექნოლოგიის გამოყენება დაკავშირებულია ნარჩენების მოცულობის შემცირებასთან, ამასთან, პროცესი არ მოითხოვს ქიმიური რეაგენტების გამოყენებას და არ წარმოქმნის მნიშვნელოვან თხევად ან აირულ ემისიებს. ანგარიშში დანართი 3-ში ასევე მითითებულია მექანიკური და ქიმიური დამუშავების (ნარჩენის კოდით: 16 02 09* - ტრანსფორმატორები და კონდენსატორები, რომლებიც შეიცავენ პოლიქლორირებულ ბიფენილებს (პქბ) (PCBs)) შესახებ ინფორმაცია. ვინაიდან ანგარიშში არ არის აღწერილი მექანიკური და ქიმიური დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი, წარმოდგენილი უნდა იყოს გონივრული ტექნოლოგიური ალტერნატივის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილია ჩამდინარე წყლების ქიმიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რაც არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ნაწილში (ქვეთავი 7.1). შესაბამისად, 24/09/2025 წ. N417 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გონივრული ტექნოლოგიური ალტერნატივების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით;

ჩ) 24/09/2025 წ. N417 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის" მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხები. ამასთან, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება წარმოდგენილი უნდა იქნეს კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;

ც) 24/09/2025 წ. N417 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ნედლეულის შემოტანის/პროდუქციის გატანის პროცედურების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში), მათ შორის, ტრანსპორტირების სქემა, სამოძრაო მარშრუტები (რუკაზე ჩვენებით), ტრანსპორტირების პირობები, სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული გზები;

ძ) გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი ინფორმაცია 500 მეტრიან რადიუსში არსებული ობიექტების შესახებ (შპს ,,გრანდ კახეთი" შპს მიმინო", შპს ,,ურბანა", სს ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია"). შესაბამისად, 24/09/2025 წ. N417 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის" მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ'' ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს (განსაკუთრებით, 500 მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების მსგავსი ანალოგიური საქმიანობების/ ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილებისა და საქმიანობების მითითებით);

წ) გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გენ-გეგმა (დანართი N1) არ შეესაბამება shp-ფაილებს. ამასთან, shp-ფაილებზე დატანილი არ არის წყალაღების/წყალჩაშვების წერტილები. აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას და წარმოდგენილი უნდა იქნეს განახლებული shp-ფაილები;

ჭ) გზშ-ის ანგარიშისა (გვ.37) და ზდჩ-ის ნორმების პროექტის მიხედვით (გვ.32), ნეიტრალიზაციისთვის საჭირო წყალი დეტოქსიკაციის უბანს მიეწოდება საწარმოს ტერიტორიის გარეთ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საძოვარი) მიწის ნაკვეთზე (GPS კოორდინატებით: X-502111, Y- 4621293; X-502103, Y-4621291; X-502113, Y-4621282; X-502106, Y-4621276) განთავსებული წყლის ორი რეზერვუარიდან (თითოეული – 15 მ3). ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული კოორდინატებით მითითებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორია კერძო საკუთრებაშია. ამასთან, გზშ-ის ანგარიშის მიხედვით (გვ.83), სამგორის არხიდან წყლის მიწოდება ხორციელდება პოლიეთილენის 50 მმ დიამეტრის მილით, თვითდინებით (ტუმბოს გამოუყენებლად). სამგორის არხიდან აღებული წყლის დაგროვების მიზნით, საწარმოს ტერიტორიის სიახლოვეს განთავსებულია წყლის დაგროვების რეზერვუარები. რეზერვუარების განთავსების ტერიტორია ს/კ: 81.10.17.979 წარმოადგენს ფიზიკური პირის საკუთრებას. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

ხ) გზშ-ის ანგარიშის მიხედვით (გვ.39), საკვლევ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება მასშტაბური მეწყრული ან ღვარცოფული პროცესების ინტენსიური გავრცელება, ხოლო ღვარცოფის საფრთხის ზონირების რუკის მიხედვით, საკვლევი არეალი ხვდება მაღალი საფრთხის ზონაში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

ჯ) გზშ-ის ანგარიშის მიხედვით (გვ.20), უახლოესი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია ობიექტის ჩრდილოეთით და საკადასტრო საზღვრიდან აღნიშნულ სახლამდე მანძილი დაახლოებით 58 მეტრს შეადგენს. ასევე ანგარიშში მითითებულია (გვ.50), რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან მდებარეობს 83 მეტრის მანძილზე. ზდგ-ის ნორმების პროექტის მიხედვით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან მდებარეობს 45 მეტრში და 85 მეტრის მანძილზე. აღნიშნული საკითხი დაზუსტებას საჭიროებს;

ჰ) გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ კონსულტანტების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ ანგარიშის მომზადებაში, თუმცა აღნიშნულ ცხრილში მითითებული არ არის ნარჩენების ნაწილის მომზადებაში მონაწილე კონსულტანტის შესახებ ინფორმაცია, რაც უნდა დაზუსტდეს;

ჰ.1) გზშ-ის ანგარიშის მიხედვით (გვ. 85), ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის წარმადობა დღე-ღამეში შეადგენს 100 მ^3-ს. ასევე, ანგარიშის მიხედვით (გვ.73), ჩამდინარე წყლის ჯამური საანგარიშო მოცულობითი სიჩქარე შეადგენს 100 მ3/დღე-ღამეში, ხოლო მაქსიმალური ხარჯი 144 მ^3 დღე-ღამეში. აღნიშნული საკითხი დაზუსტებას საჭიროებს.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის ორი თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს თქვენი ა/წ 17 ივლისის N10954 განცხადებით მოთხოვნილი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/13258-21-2-202609090859

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE